ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 219

10 აგვისტო
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" 2017 წლის 28 დეკემბერს გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში (N ENI/2017/394-803) ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის პირველი აგვისტოს №18.600.928 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" 2017 წლის 28 დეკემბერს გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში (N ENI/2017/394-803) ცვლილების შეტანის თაობაზე, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ცვლილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის პირველი აგვისტოს №18.600.928 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ევროკავშირის მიერ 2018 წლის 17 ივლისს წარდგენილი №18/01181982127-01 წერილის დანართი №1-ის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**